რა არის გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები (SDG) და ინიციატივა - ,,გარემო და უსაფრთხოება" (ENVSEC)?

ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) როლი გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) რეალიზაციასა და ინიციატივა - ,,გარემო და უსაფრთხოება" (ENVSEC) -ში

რეზიუმე

2015 წლის 25 სექტემბრის გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული მდგრადი განვითარების სფეროში დღის წესრიგი 2030 წლამდე პერიოდისთვის, მიუთითებს, არა მარტო იმაზე, რომ მშვიდობა და უსაფრთხოება წარმოადგენს აუცილებელ წინაპირობას მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში, არამედ იმაზეც, რომ თვით მდგრადი განვითარება უზრუნველყოფს მშვიდობისაკენ სვლას.

ახალი დღის წესრიგი, რომლის ცენტრში დგას მშვიდობის დამყარებისა და შენარჩუნების ამოცანა, წარმოადგენს ყოვლისმომცველ და იმედის მომცემ პროექტს, რომელსაც შეუძლია სტიმული მისცეს საერთაშორისო სოლიდარობას. ამ დოკუმენტის 5 ძირითადი ფუძემდებლური შემადგენელი - მშვიდობა, ხალხი, პლანეტა, აყვავება და პარტნიორობა - ხსნიან ახალ ერას განვითარების სფეროში.

დღის წესრიგის 17 მიზნისა და 169 ამოცანის გარდასახვა კონკრეტულ მოქმედებებში ადგილებზე, შესაძლებელია ყველა დაინტერესებული მხარის (მთავრობა, სამოქალაქო საზოგადოება, აკადემიური წრეები, საქმიანი წრეები, პარლამენტები და საერთაშორისო ორგანიზაციები) მხარდაჭერითა და მონაწილეობით.

ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციას (ეუთო), წარმოადგენს რა მსოფლიოში უმსხვილეს რეგიონალურ გაერთიანებას, რომლის საქმიანობა გაეროს წესდების VIII თავის მიხედვით, მიმართულია უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე, თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ამ უმნიშვნელოვანესი გლობალური პროექტის განხორციელებაში.

ევროპის უსაფრთხოების კონცეფცია, წარმოადგენს ყოვლისმომცველ და მრავალწახნაგოვან მიდგომას, რომელიც მოიცავს სამხედრო-პოლიტიკურ ასპექტებს, ეკონომიკისა და გარემოს დაცვის ასპექტებს, აგრეთვე ადამიანის უფლებებს, საზოგადოების დემოკრატიულ მოწყობას, რაც სრულად შეესაბამება მდგრადი განვითარების სფეროში გაეროს დღის წესრიგს 2030 წლამდე პერიოდისთვის.

ჯერ კიდევ 1975 წელს ორგანიზაციის დამფუძნებელ დოკუმენტებში, რომელიც ცნობილია, როგორც ჰელსინსკის აქტი, ეკონომიკა, სოციალური ხასიათის საკითხები და გარემოს დაცვის პრობლემები, განიხილებოდა, როგორც მდგრადი განვითარების მნიშვნელოვანი შემადგენლები ამ პროცესის დღევანდელი გაგების კონტექსტში.

შემდგომი ათწლეულების განმავლობაში ეუთოს წევრმა-სახელმწიფოებმა მიაღწიეს კონსესუსს მთელ რიგ პოლიტიკურ ვალდებულებებში, იმ სფეროების ჩათვლით, რომლებსაც მოიცავს მაასტრიხის ხელშეკრულება. ეს სტრატეგიული დოკუმენტი შეეხება ეკონომიკურ საკითხებს და გარემოს დაცვის პრობლემებს, რაც თავის მხრივ საშუალებას იძლევა მოხდეს ყურადღების ფოკუსირება მდგრადი განვითარების პროცესზე და დაისახოს თანამშრომლობისათვის მოქმედების გეგმა და სფერო.

ყოველივე ზემოთაღნიშნული წარმოადგენს საფუძველს გაეროს 2030 წლამდე დღის წესრიგის მხარდაჭერისათვის.

ეუთო-პირველ რიგში ესაა ორგანიზაცია, რომელიც მიმართულია უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე. ორგანიზაციის კომპლექსური მიდგომა უსაფრთხოების პრობლემებისადმი ქმნის მყარ საფუძველს მდგრადი განვითარების მხარდაჭერისთვის. გაეროს 2030 წლამდე დღის წესრიგი მდგრადი განვითარების სფეროში - ხაზგასმულია მჭიდრო ურთიერთკავშირი მშვიდობის მხარდაჭერასა, უსაფრთხოების უზრუნველყოფასა, აგრეთვე სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას შორის. ეუთოს მხარდაჭერა დემოკრატიული ინსტიტუტების

გაძლიერებისადმი, კანონის უზენაესობის უზრუნველყოფისა და ადამიანის უფლებების დაცვაში, ასევე ხელს უწყობს მდგრად განვითარებას.

ეუთო აღიარებს მჭიდრო ურთიერთკავშირს გარემოს დაცვის სფეროში პრობლემებსა და უსაფრთხოებას შორის. იმ პირობებში, როდესაც ეკოლოგიური პრობლემები შეიძლება იყოს კონფლიქტების პოტენციური მიზეზები, თანამშრომლობა გარემოს დაცვის სფეროში შეიძლება იქცეს მისი განეიტრალების საშუალებად და ნდობის განმტკიცების ხელშემწყობი. ეუთო მონაწილეობს საერთაშორისო დისკუსიებში გარემოს დაცვის საკითხებზე და მას განიხილავს, როგორც უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთ-ერთ საშუალებას. ცდილობს გარდაქმნას ეკოლოგიურ პრობლემებთან დაკავშირებული რისკი თანამშრომლობის შესაძლებლობად.

იმისათვის, რომ შეიმუშავოს და შემდგომ რეალიზაცია გაუკეთოს ეფექტურ ღონისძიებებს მიმართულს რეაგირებისაკენ, როგორც ტრადიციული, ასევე ახლად აღმოცენებული გამოწვევებისადმი, ეუთო აერთიანებს ძალისხმევას გაეროსთან. ასევე თანამშრომლობს მთელ რიგ საერთაშორისო, რეგიონალურ ორგანიზაციებთან.

ინიციატივა ,,გარემო და უსაფრთხოება“ წარმოადგენს კონკრეტულ მაგალითს ასეთი თანამშრომლობისა. ეს არის ხანგრძლივვადიანი პარტნიორობა ეუთოს, გაეროს განვითარების პროგრამის, გაეროს პროგრამისა გარემოს დაცვაში, გაეროს ევროპული ეკონომიკური კომისიისა და აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის რეგიონალური ეკოლოგიური ცენტრისა, რაც საშუალებას იძლევა მოხდეს გარემოს დაცვის სფეროში მოქმედებების კოორდინაცია, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს მდგრადი განვითარების მიზნების რეალიზაციას.

მიუხედავად მსგავსი პარტნიორობის შთამბეჭდავი მაშტაბებისა მდგრადი განვითარების სხვადასხვა სფეროებთან მიმართებაში, მაინც არსებობს დიდი პოტენციალი თანამშრომლობის გაფართოებისა საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებთან, კერძო სექტორთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან, იმისათვის, რომ შეიქმნას მყარი კოალიცია, აუცილებელი მდგრადი განვითარების გაეროს 2030 წლამდე დღის წესრიგის შესრულებისათვის.